ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 30.06.2020

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 018/20

I შეკითხვა:

ადვოკატმა შეთანხმების შესაბამისად დაიწყო კლიენტის საქმისწარმოება საოჯახო დავასთან დაკავშირებით. სასამართლოში დავის გაგრძელებამდე, მან მოაგროვა ყველა საჭირო დოკუმენტი სარჩელის შედგენისათვის. ადვოკატს წისნწრებით სასამართლოში დავის წარმოებისთვის მიღებული ჰქონდა საადვოკატო მომსახურების ჰონორარი სრულად. კლიენტს აღარ სურდა დავის გაგრძელება და ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა მათ შორის შეწყდა. ადვოკატმა უნდა დაუბრუნოს თუ არა სასამართლოში დავის წარმოებისთვის მიღებლი ჰონორარი, როდესაც ურთიერთობა შეწყდა კლიენტის ინიციატივით.

II ანალიზი:

აპეკ-ის 8.15 მუხლი: „ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ... ფულადი სახსრები, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.

უზენაესმა სასამართლომ ურთიერთობის შეწყვეტის დროს გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნებასთან დაკავშირებით განმარტა: „იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის

დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში“ (საქართველოს უზენაესმა სასამართლოს 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებაში საქმე #დს-შ/17-16)

ადვოკატი თავად განსაზღვრავს მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა სამართლიანად და რა ნაწილი არის დასაბრუნებელი კლიენტისათვის. ადვოკატი აღნიშნულ შემთხვევაში პროპორციულობის პრინციპს ითვალისწინებს. გამომუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება არ არის დამოკიდებული ურთიერთობის შეწყვეტის ინიციატორზე. შესაბამისად, ადვოკატი გამოქვითავს ურთიერთობის შეწყვეტამდე მომსახურებისათვის მისაღებ გასამრჯელოს, გაწეულ ხარჯს და დანარჩენი უნდა დაუბრუნდეს კლიენტს.

III დასკვნა:

გამომუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება არ არის დამოკიდებულება საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის ინიციატორზე და ასეთ დროს, ადვოკატმა თავად უნდა განსაზღვროს პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით, რა ოდენობის გამოუმუშავებელი ჰონორარი უნდა დაუბრუნდეს კლიენტს.

მითითება: რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.